ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვერელიძის სახელობის სპორტული სკოლის 2022 წლის 12 თვის გაწეული მუშაობის ანგარიში

ზესტაფონის სიმონ საყვერელიძის სახელობის სპორტულ სკოლას ყოველთვის ჰქონდა ტრადიცია სპორტული წარმატებებისა, მაგრამ 2022 წელი განსაკუთრებული აღმოჩნდა ჩვენი სპორტული სკოლისათვის.პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პანდემიის პერიოდში ბავშვთა რაოდენობა მინიმუმამდე იყო დასული. ყველა სექციებში ბავშვთა რაოდენობა 100-ს არ აღემატებოდა. ჩვენი სპორტული სკოლის მწვრთნელებისა და მთლიანად კოლექტივის სწორი მუშაობით მოვახდინეთ ბავშვთა რაოდენობის მაქსიმუმამდე აყვანა და 2022 წლის ბოლოს დაფიქსირდა 550 ბავშვი, რაც ბოლო წლების რეკორდული მაჩვენებელია.2022 წელს ჩვენი სპორტული სკოლის სპორტსმენებმა სხვადასხვა სახეობებში მოიპოვეს 280 მედალი. მათ შორის 119 – I ადგილი, 79 – II ადგილი და 87 – III ადგილი.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ჩვენი სპორტსმენების წარმატებები საერთაშორისო მასშტაბით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე:

I - ადგილი - შალვა გურეშიძე (ძიუდო ახალგაზრდები) პოლონეთი.

II - ადგილი - მინდია ლილუაშვილი (სამბო დიდები) სერბეთი.

II - ადგილი - ლევან ჩუბინიძე (ძიუდო ვეტერანები) საბერძნეთი.

III - ადგილი - უჩა ტაბატაძე (ძიუდო ახალგაზრდები) პოლონეთი.

მსოფლიოს ჩემპიონატი

I - ადგილი - ლევან ჩუბინიძე (ძიუდო ვეტერანები) პოლონეთი

III - ადგილი - შალვა გურეშიძე (ძიუდო ახალგაზრდები) ეკვადორი

საერთაშორისო ტურნირები:

I - ადგილი - და საჩემპიონო ქამარი - ირაკლი მახათაძე (კიკბოქსინგი) ერევანი

I - ადგილი - ევროპის ღია თასი - თეკლა კაპანაძე (ფარიკაობა)

I - ადგილი - თამარ გეწაძე (ძიუდო) თურქეთი

II - ადგილი - ნინო ჩადუნელი (ძიუდო) თურქეთი

II - ადგილი - გიორგი მაჩიტიძე (ბ-რომაული ჭიდაობა)

II - ადგილი - ლუკა ლელაძე (ბ-რომაული ჭიდაობა)

III - ადგილი - ჯაბა სარალიძე (ბ-რომაული ჭიდაობა)

2022 წელს სპორტული სკოლის სხვადასხვა სახეობასა და სხვადასხვა ასაკში დაპიქსირდა 15 საქართველის ნაკრების წევრი, რაც ნამდვილად დიდი წარმატებაა.

რაც შეეხება ჩვენი სპორტული სკოლის ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებს:

1. თემურ კამლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრი (ძიუდო)
2. სულხან ხვედელიძის ხსოვნის ტურნირი (ძიუდო)
3. ზურა დეკანოსიძის და ბაჩო ყაზაიშვილის ხსოვნის ტურნირი (კრივში)
4. ბექა მანჯავიძე და ალეკო ხუციშვილის ხსოვნის ტურნირი (კიკბოქსინგი)
5. ჯემალ მახათაძის ხსოვნის მემორიალი (ჭადრაკი)
6. 26-მაისის დღესთან მიძღვნილი შეჯიბრი (ქართულ ჭიდაობაში, „ფალავნობა“)

სპორტული სკოლის სხვადასხვა სექციებიდან რესპუბლიკის მასშტაბით მონაწილეობა მივიღეთ 120 ღონისძიებაში, სადაც მაქსიმალურად იყვნენ ჩართული ჩვენი სკოლის სპორტსმენები და მწვრთნელები.

რაც შეეხება დამტკიცებულ ბიუჯეტს:

ააიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 393,2 ათას ლარს, ამათ შორის შრომის ანაზღაურება 256,0 ათასი ლარი, ჯილდო/პრემია 10,7 ათასი ლარი, მივლინება ქვეყნის შიგნით 16,0 ათასი ლარი, მივლინება ქვეყნის გარეთ 3,0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯი 16,8 ათასი ლარი, , სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა მშორის(სპორტსმენების შეჯიბრებების ხარჯი) 75,6 ათასი ლარი, ტრანსპორტის ხარჯი 12,0 ათასი ლარი, ინვენტარის შესაძენად 11,3 ათასი ლარი, სხვა მიმდინარე ხარჯი 2,6 ათასი ლარი.

რაც შეეხება ფაქტიურ ხარჯს შეადგენს 392,7 ათას ლარს, კერძოდ: შრომის ანაზღაურებას გახარჯულია 266,7 ათასი ლარი, ოფისის მუხლიდან გახარჯულია 16,5 ათასი ლარი, კერძოდ: კომუნალური მომსახურეობისათვის 7,6 ათასი ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯი 2,1 ათასი ლარი, საკანცელარიო საქონელი 1,0 ათასი ლარი და სანიტარული საგნები 1,5 ათასი ლარი, ჟურნალგაზეთების 0,5 ათასი ლარი, საოფისე ინვენტარის შესაძენად 3,5 ათასი ლარიდა კომპიურეტის მომსხურეობის 0,3 ათასი ლარი. მივლინების მუხლიდან მწვრთნელ-მასწავლებლებზე სპორტსმენების შეჯიბრზე წასაყვანად სხვადასხვა ქალაქებში 16,0 ათასი ლარი, მივლინება ქვეყნის გარეთ 3,0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურეობაზე, კერძოდ სპორტსმენების სხვადასხვა სახის შეჯიბრში მონაწილეობისათვის, კადრების მომზადებისა, მემორანდუმის გაფორმებისა და სამაუწყებლო მომსახურეობაზე გახარჯულია 75,6ათასი ლარი. საწვავის ხარჯი 1,1 ათასი ლარი, ინვენტარის მუხლიდან გახარჯულია 11,2 ათასი ლარი, სხვა მიმდინარე ხარჯი 2,6 .